სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 მარტი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/26

2026–2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის, ქართულ ენაში მომზადების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, 52-ე მუხლის, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების (ცვლილება - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 27 თებერვლის №23/ნ ბრძანებით), ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 26 0000254258, 04.03.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს 2026-2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის, ქართულ ენაში მომზადების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარები:

ა) ბსუ-ს ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის, ქართულ ენაში მომზადების და საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარი, წინამდებარე **დადგენილების №1 დანართის** შესაბამისად;

ბ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარი, წინამდებარე **დადგენილების №2 დანართის** შესაბამისად.

2. ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული ანკეტა-კითხვარის მონაცემები ელექტრონული ფორმით აისახოს უმაღლესი და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო

სისტემაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით“ განსაზღვრულ ვადაში და წესის შესაბამისად.

3. დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, დარგობრივ დეპარტამენტებს, დეკანის ოფისებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**